ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2024 წლის 27 დეკემბერი

დაბა ლენტეხი

2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8 მუხლის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 2025 წლისთვის დანართი №1-ის მიხედვით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №30 (www.matsne.gov.ge, 010260020.35.115.016402, 01/01/2024 წ.) დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გაზდელიანი**

დანართი №1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2024 წლის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	რანგი	საშტატორიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე		1	5998
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		1	4535
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		2	3950
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე		5	3219
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		3	2926
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		6	2341

	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული – აპარატი			
7	პროფესიული საჯარო მოხელე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის -აპარატის უფროსი	**I რანგი**	1	3358
8	პროფესიული საჯარო მოხელე – I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	6	1898
9	პროფესიული საჯარო მოხელე – II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	2	1752
	ჯამი		27	